ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 17.06.2017

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 016/17

შეკითხვა:

არსებობს თუ არა ორდერის ნიმუში ან მისი სავალდებულო რეკვიზიტები? აუცილებელი არის თუ არა იყოს ორდერზე კლიენტის ხელმოწერა?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი: "ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე."

,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-19 მუხლი განსაზღვრავს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების საფუძველს, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად ,,გამოძიების ორგანოში ან საქმის სასამართლოში განხილვისას ადვოკატი ვალდებულია საადვოკატო საქმიანობის უფლების დამადასტურებელ მოწმობასთან ერთად წარადგინოს დადგენილი წესით კლიენტის მიერ მასზე გაცემული დოკუმენტი - მინდობილობა ან ორდერი." სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლი განსაზღვრავს ბრალდებულის ადვოკატის სამართლებრივ მდგომარეობას, რომლის მე-2 პუნქტის თანახმად: ,,სისხლის სამართლის საქმეში მონაწილეობის დასაშვებად ადვოკატი წარადგენს ორდერს და თავის მოწმობას."

ორდერი წარმოადგენს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული უფლებამოსილების დამადასტურებელ დოკუმენტს, რომელის საფუძველზე ადვოკატს უფლება აქვს იმოქმედოს კლიენტის სახელით და უზრუნველყოს მისი ინტერესების წარმოდგენა შესაბამის ორგანოებში მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატი ვალდებულია კონკრეტულ საქმეზე კლიენტის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების დასადასტურებლად წარადგინოს ორდერი.

ადვოკატის მიერ ორდერის გამოწერა უნდა განხორციელდეს მხოლოდ ორდერში მითითებული პირის დასაცავად, ამასთან ადვოკატის მიერ სხვა მიზნით გამოწერილი ორდერი იქნება ფიქტიური ხასიათის, რაც არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ორდერის სამართლებრივ ბუნებას

და იწვევს ადვოკატის მიერ ორდერის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების დარღვევას სამართლებრივი ურთიერთობის დაწყებისთანავე.

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით განსაზღვრულია ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ადვოკატის ორდერი. კერძოდ, ორდერის სავალდებულო რეკვიზიტებია: ა) იურიდიული ფირმის, ბიუროს, ადვოკატის დასახელება, მისამართი, ორდერის გაცემის თარიღი; ბ) დოკუმენტის დასახელება - ორდერი; გ) ადვოკატის სახელი, გვარი, სიითი ნომერი; დ) იურიდიული პირი - სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი; ე) დავალების შინაარსი (უნდა მოიცავდეს საპროცესო მოქმედებას და მათი შესრულების ადგილს ან ორგანოს); ვ) ორდერის გამცემი პირის ხელმოწერა; ზ) ორდერის მოქმედების ვადა.

შესაბამისად, განსაზღვრული ფორმა ორდერისათვის არ არსებობს. სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დადგენილია მისი მხოლოდ სავალდებულო რეკვიზიტები. კლიენტის ხელმოწერა ორდერის სავალდებულო რეკვიზიტებში არ არის განსაზღვრული და მისი განთავსება ორდერზე არ წარმოადგენს ადვოკატის მოვალეობას. რაც შეეხება კლიენტის თანხმობასა და შეთანხმების პირობებს, ეს განისაზღვრება მხარეთა შორის არსებული ზეპირი ან წერილობითი ხელშეკრულებით.

დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს 2006 წლის 01 თებერვლის გადაწყვეტილებით განსაზღვრულია ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებსაც უნდა შეიცავდეს ადვოკატის ორდერი. კერძოდ, ორდერის სავალდებულო რეკვიზიტებია: ა) იურიდიული ფირმის, ბიუროს, ადვოკატის დასახელება, მისამართი, ორდერის გაცემის თარიღი; ბ) დოკუმენტის დასახელება - ორდერი; გ) ადვოკატის სახელი, გვარი, სიითი ნომერი; დ) იურიდიული პირი - სახელწოდება, რეგისტრაციის ნომერი; ე) დავალების შინაარსი (უნდა მოიცავდეს საპროცესო მოქმედებას და მათი შესრულების ადგილს ან ორგანოს); ვ) ორდერის გამცემი პირის ხელმოწერა; ზ) ორდერის მოქმედების ვადა.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.